№2744 2015 წლის 18 დეკემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ აჭარის შემოვლითი გზის მშენებლობის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის №4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ აჭარის შემოვლითი გზის მშენებლობის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის №4 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და:

ა) განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული, საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის დაფინანსების ჩარჩო ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (შემდგომში – დეპარტამენტი) 2015-2016 წლებში უზრუნველყოს არსებული მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის განახლების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.“;

ბ) განკარგულების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დეპარტამენტმა, ამ განკარგულების მე-2 პუნქტით განსაზღვრული, 2015 წელს განსახორციელებელი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით „ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა“ პროგრამის (პროგრამული კოდი: 25 02 03) ქვეპროგრამით „ქ. ქობულეთის ახალი შემოვლითი გზა (აზიის განვითარების ბანკი)“ (პროგრამული კოდი: 25 02 03 05 01) განსაზღვრული „საბიუჯეტო სახსრების“ ასიგნებებიდან, ხოლო 2016 წელს განსახორციელებელი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა – საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**